ხელშეკრულება 5/13

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე

21 ნოემბერი, 2019 წელი

ერთი მხრივ შპს „ქუთაისის სამედიცინო სკოლა“ (ს/ნ:412672157, შემდგომში მოხსენიებული როგორც: **“კოლეჯი”**), წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის, იოსებ კაჭარავას სახით და მეორე მხრივ სს „ევექსის ჰოსპიტლები” (ს/ნ: 404476205, შემდგომში მოხსენიებული როგორც: **“კორპორაცია”**), წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის, ნინო შადურის მიერ (**“კოლეჯი”** და **„კორპორაცია“**, ერთად მოხსენიებული, როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც **„მხარე“**) აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე (შემდგომში: **“ხელშეკრულება”**), რომელის ფარგლებშიც თანხმდებიან შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების მიზანი და საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი, საექთნო განათლების (Nursing) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში: „ჩარჩო დოკუმენტი“) საფუძველზე შექმნილი “საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება/განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალებად მომზადების ხელშეწყობა.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი “საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული სტუდენტებისათვის, კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი, წინამდებარე ხელშეკრულების #1 დანართით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისი, პრაქტიკული ბაზის უზრუნველყოფა, როგორც უშუალოდ კორპორაციის, აგრეთვე მის ქსელში შემავალი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიაზე.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული პრაქტიკული ბაზის უზრუნველყოფის მიზნით კორპორაცია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელებს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის, სტუდენტების პროფესიული კლინიკური სწავლებისათვის მოდულის შინაარსის გათვალისწინებით შესაბამისი კლინიკის შერჩევას, საჭირო ადამიანური რესურსის გამოყოფას და მატერიალური-სახარჯი მასალის განსაზღვრა / მიწოდებას. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების #1 დანართით გათვალისწინებული მოდულების გავლის მიზნით, სამედიცინო განათლების მქონე, შესაბამისი კვალიფიკაციის პირების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირების (შემდგომში წოდებული, როგორც პრაქტიკის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირი) დაკონტრაქტებას უზრუნველყოფს თავად კოლეჯი, ხოლო კორპორაცია ვალდებულია, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მათ უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

2. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები იღებენ ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთობლივი მიზნების მისაღწევად, განახორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა და შესრულება კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად.

2.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომ კორპორაცია მოახდენს საჭირო ადამიანური რესურსის გამოყოფას, არ წარმოადგენს კორპორაციის ვალდებულებას და შესაბამისად საჭირო ოდენობის ადამიანური რესურსის გამოყოფის შეუძლებლობა არ იქნება განხილული/მიჩნეული როგორც ვალდებულების დარღვევა. კორპორაცია მიმართავს მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ უზრუნველყოს სათანადო მოცულობის ადამიანური რესურსის მობილიზება, თუმცა შეუძლებლობის შემთხვევაში კორპორაცია არ იქნება ვალდებულები დაამტკიცოს/დაასაბუთოს შეუძლებლობის საფუძვლიანობა/ობიექტურობა. თავის მხრივ კოლეჯი უფლებამოსილია მოიძიოს ალტერნატიული ადამიანური/საკადრო რესურსი ან/და შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა-10 (ათი) მედდა-ტრენერი;
2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა- 12 (თორმეტი) მედდა-ტრენერი;
3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა- 10 (ათი) მედდა-ტრენერი;
4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა-20(ოცი) მედდა-ტრენერი;
5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა-18 (თვრამეტი)მედდა-ტრენერი;
6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა-20 (ოცი) მედდა-ტრენერი;

კოლეჯი

კორპორაცია

2.3 <u>კორპორაცია ვალდებულია:</u>

2.3.1 კოლეჯის მიერ წინასწარ მიწოდებული კლინიკური მოდულის საფუძველზე განსაზღვროს სათანადო კლინიკური სწავლების განხორციელების ობიექტი;

2.3.2 საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და წინამდებარე ხელშეკრულებით. გათვალისწინებული პირობების/ვალდებულებების შესაბამისად ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტს სრული კურსის გავლაში, შესაბამისი პროგრამის მოდულებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით;

2.3.3 კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულით განსაზღვრული შედეგის მიღწევისთავის, თავის ობიექტზე იქონიოს შესაბამისი გარემო;

2.3.4 მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პრაქტიკაზე მივლინებული პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების მიზნით, საკუთარი კლინიკის თანამშრომლებიდან გამოყოს სპეციალური კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების კადრების კანდიდატურები, რომელთანაც ამავდროულად კოლეჯის მიერ იქნება გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება, როგორც საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტის განმახორციელებელ/პრაქტიკის ხელმძღვანელ პირ(ებ)თან, რომელიც სრულად უხელმძღვანელებს პრაქტიკის მსვლელობისა და განხორციელების პროცესს;

2.3.5 პრაქტიკის განსახორციელებლად კორპორაციის ქსელში შემავალი სამედიცინო ბაზებზე მიიღოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად სტუდენთა რაოდენობა, ქვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 (შვიდი) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოფილი იყოს 1 (ერთი) პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირი, რომელიც დააკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული მოდულებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

2.3.6 კოლეჯის მიერ წინსწრებით, წერილობით მიწოდებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლის შესაბამისად, გამოყოს სახარჯი მასალა, განსახორციელებელი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულებით განსაზღვრული მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით.

2.4 <u>კორპორაცია უფლებამოსილია:</u>

2.3.1. მოსთხოვოს კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფების მაღალ დონეზე ორგანიზება, წინამდებარე ხელშეკრულებითა და კლინიკური მოდულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა სრული დაცვით;

2.3.2. მოითხოვოს კოლეჯს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2.5 <u>კოლეჯი ვალდებულია:</u>

2.5.1 არაუგვიანეს კლინიკური სწავლების მოდულის განხორციელების ვადის დადგომამდე 3 (სამი) კვირისა, შეატყობინოს კორპორაციას მოდულის დაწყების და დასრულების, საათობრივი დატვირთვის, შინაარსის, საჭირო სახარჯი მასალის მინიმალური ოდენობის, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფის შემადგენლობის რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ წერილობით;

2.5.2 განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.5.3 გააგზავნოს კორპორაციაში, კლინიკური სწავლებაზე პროფესიული სტუდენტები მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის თეორიული კომპონენტის შესწავლის/დადასტურების შემდეგ;

2.5.4 დროულად მიაწოდოს წერილობითი მასალა (კლინიკური მოდული) კორპორაციას გასავლელი პრაქტიკული კომპონენტების შესახებ;

2.5.5 დაეხმაროს კორპორაციას ნებისმიერი საკითხის გარკვევაში, რაც დაკავშირებული იქნება კლინიკური სწავლების სრულყოფილად განხორციელებასთან;

2.5.6 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული/განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით, წინასწარ გადაცემული კლინიკური მოდულის საფუძველზე, განსაზღვრული ვადით უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების გაგზავნა კორპორაციაში;

2.5.7 კოლეჯი ვალდებულია, აიღოს სრული ადმინისტრაციული და საორგანიზაციო პასუხისმგებლობა კორპორაციის ბაზაზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო საქმე კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების, სტუდენტებისა და სასწავლო პროცესის მართვაზე. მათ შორის, ამ ხელშეკრულების დანართი #2-ით განსაზღვრული კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის, ძირითადი ფუნქციების გაწერის და მათთვის გაცნობა/კონტროლის, ხელშეკრულების გაფორმების, პასუხისმგებლობებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრის, გაცნობისა და კონტროლის და სხვა მართვის საკითხების კუთხით.

2.6 <u>კოლეჯი უფლებამოსილია:</u>

კოლეჯი

კორპორაცია

2.6.1 მოსთხოვოს კორპორაციას კლინიკური სწავლებისთვის საჭირო მატერიალური ბაზის მაღალ დონეზე ორგანიზება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კლინიკური მოდულებით გათვალისწინებული მოთხოვნათა სრული დაცვით;

2.6.2 მოითხოვოს კორპორაციას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება, მათ შორის კოლეჯის მიერ დაქირავებული პროგრამის განმახორციელებელი პირების/პრაქტიკის ხელმძღვანელების საქმიანობის ხელშეწყობა.

3. **კლინიკური სწავლების განხორციელების ობიექტები**

3.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, კოლეჯის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა კლინიკური სწავლების შესაბამისი მოდულები განხორციელდება, კორპორაციის მიერ შერჩეულ და კოლეჯთან წინასწარ შეთანხმებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

4. **შეთანხმებული საზღაური და ანგარიშსწორების წესი**

4.1 მხარეებს შორის ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

4.2 მომსახურების ღირებულება, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეადგენს 50.00 (ორმოცდაათი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების (მათ შორის დღგ-ს) ჩათვლით).

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება კორპორაციის მიერ კოლეჯისთვის შესაბამისი ინვოისის გაგზავნის საფუძველზე. ინვოისის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. **ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები და მხარეთა მიერ გაცხადებული გარანტიები**

5.1 მხარეები აცხადებენ და იძლევა გარანტიას, რომ:

5.1.1 გააჩნიათ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული მოცულობით კისრების/აღების და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება, ცოდნა და უნარი და ამ მიზნით მოპოვებული აქვთ ყველა აუცილებელი ლიცენზია, თანხმობა და ნებართვა ნებისმიერი კერძო თუ სახელმწიფო მარეგულირებელი, ზედამხედველი, ან/და მმართველი ორგანოსგან თუ სამსახურისგან;

5.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება და შესრულება არ გამოიწვევს ადრე გაფორმებული, რომელიმე ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების ან/და ნაკისრი/დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას;

5.1.3 არ მონაწილეობენ არც ერთ სასამართლო დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით) რითაც საფრთხე ექმნება ან შეექმნება მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ნებისმიერი პირობების და ვალდებულების შესრულებას;

5.1.4 ხელშეკრულების გასაფორმებლად და შესასრულებლად მხარეთა მიერ ერთმანეთისთვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის არის და იქნება უტყუარი და ზუსტი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

5.1.5 მხარეები აცხადებენ, რომ მათზე სრულად ვრცელდება ერთმანეთისთვის პირდაპირ და არაპირდაპირ მიყენებული ზიანი/ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. ამასთან ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების, პრაქტიკის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებულ ქმედებაზე და აღნიშნულის შედეგად კორპორაციისთვის პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მიყენებულ ზიანსა და ზარალზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს, რომელიც ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს კორპორაციას, ამგვარი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი.

6. **ფორს-მაჟორი**

6.1 ფორს-მაჟორული სიტუაციის (დაუძლეველი ძალის) დადგომის შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების შეჩერდება მხოლოდ დროებით და ახლდება ამ ფორს-მაჟორული სიტუაციის დამთავრების შემდეგ თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის შეთანხმებული.

6.2 ფორს-მაჟორი წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ნიშნავს იმგვარ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის, წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და მათი განზრახი ქმედებისაგან დამოუკიდებლად. ეს ის მოვლენებია, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და პირდაპირ ან/და არაპირდაპირ, სრულად ან/და ნაწილობრივ ხელს უშლის მხარე(ებ)ს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრულად და ჯეროვნად შესრულებაში.

6.3 თითოეულ მხარეს ეკისრება მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ამასთან მხარეთა პასუხისმგებლობას, განსაზღვრულს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების სრული ან

კოლეჯი

კორპორაცია

ნაწილობრივი შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დარღვევის გამო, გამორიცხავს იმგვარი ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა, რომლებმაც უშუალო გავლენა იქონიეს მხარის შესაძლებლობაზე შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი**

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე (ხელმოწერის თარიღი დაფიქსირებულია ხელშეკრულების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში) და ძალაშია მომდევნო 3 (სამი) წლის განმავლობაში. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) კვირით ადრე თუ ერთერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ავტომატურად შემდგომი 3 (სამი) წლით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს:

7.2.1 მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

7.2.2 ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივად, მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

7.2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

8. **დავების გადაჭრა და მარეგულირებელი კანონმდებლობა**

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარის მიერ, მეორისთვის დავის წამოჭრის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მოლაპარაკების გზით, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია დავა განსახილველად გადასცეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. **სხვა პირობები**

9.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა მიერ, ქვემოთ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართებიდან განხორციელებულ კორესპონდენციას, რომელიც ეხება ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას/შესრულებას და აგრეთვე მასთან დაკავშირებულ, ტექნიკური ხასიათი სხვადასხვა საკითხებს აქვს ქაღალდ-მატარებელზე შესრულებული მიმოწერის/მიღწეული შეთანხმებისა თუ მიღება-ჩაბარების აქტის ტოლფასი იურიდიული ძალა. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული მიმოწერა არ შეიძლება გამოყენებულ იყოს ხელშეკრულების არსებითი პირობების (ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის პირობები, დათქმა ანგარიშსწორების შესახებ, დავების გადაწყვეტის წესი და ა.შ.) შესათანხმებლად, შესაცვლელად ან/და შესაწყვეტად.

9.1.1 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართებია: info@kms.edu.ge

9.1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, კორპორაციის ელექტრონული ფოსტის მისამართებია: klinikuristsavleba@evex.ge.

9.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა/ნებისმიერი სახის პირგასამტეხლოს მეორე მხარისათვის დაკისრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არის შესაბამისი მხარის უფლება და არა ვალდებულება, ამასთან პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს შესაბამისი ვალდებულების შესრულებისგან.

9.4. ეს ხელშეკრულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, სამართალმემკვიდრეების, წარმომადგენლების, რწმუნებულებისა და თანამშრომლებისთვის.

9.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ვადა, უნდა შესრულდეს ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან და სხვა) 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან უქმე დღეს, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირველივე სამუშაო დღეს.

კოლეჯი

კორპორაცია

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და ხელშეკრულების ფარგლებში წარმოებული ელექტრონული მიმოწერა წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მხარეებს შორის შესაძლოა დამატებით გაფორმდეს ისეთი აქტები, როგორიცაა მიღება-ჩაბარების, შედარების, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფების, საჭირო სახარჯი რესურსის მინიმალური ოდენობის ან/და სხვა ინფორმაციის გაცვლის შესახებ, კორპორაციის ქსელში შემავალი კონკრეტული კლინიკური სწავლების განხორციელების ობიექტის (კლინიკის) და კოლეჯის დამატებითი შეთანხმება, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და აზუსტებენ მის პირობებს. ასეთი აქტები ძალაშია, მხოლოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში.

9.9. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით თუ ამავე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული.

9.10. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირ(ებ)ს გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:

1) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად;

2) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაზე მხარეები წერილობით შეთანხმდებიან;

3) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონმდებლობისა და/ან შესაბამისი რეგულაციების (მათ შორის, იმ საფონდო ბირჟის მოთხოვების მიხედვით და დაცვით, სადაც ივაჭრებდ მხარის ან/და მისი ბენეფიციარი მფლობელის აქციები) მოთხოვნათა შესაბამისად.

9.11. ხელშეკრულების რომელიმე მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლების, პუნქტების ან/და ქვეპუნქტების ბათილობას ამასთან ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

9.12. ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების განმარტებისთვის / ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

9.13. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

9.14. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად და გადაეცემა მხარეებს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

კოლეჯი

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157
მისამართი: მ. დვალიშვილის 13
«თიბისი ბანკი» ქუთაისი.
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. N GE27TB7190036080100002
ს/კ 412672157

ელ.ფოსტა: info@kms.edu.ge

ხელმომწერი პირი: იოსებ კაჭახიძე

რექტორი

_____

_____

კოლეჯი

კორპორაცია

სს „ევექსის ჰოსპიტლები"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404476205
მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ. 4/77) / თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N142.
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000334309700GEL

_____

_____

უფლებამოსილი პირი
ნინო შადური

_____

კორპორაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე
2019 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი #1
(მოდულები)

თბილისი _____, 2019 წელი

"საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, კლინიკური სწავლების განხორციელების პროცესში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასახელება და მოცულობა, რომელთა სწავლება განხორციელდება კლინიკაში:

1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
11. კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

კოლეჯი
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157
მისამართი: მ. დვალიშვილის 13
«თიბისი ბანკი» ქუთაისი.
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. N GE27TB7190036080100002
ს/კ 412672157

ელ.ფოსტა: info@kms.edu.ge

ხელმომწერი პირი: იოსებ კაკაბაძე

რექტორი

კორპორაცია
სს „ევექსის ჰოსპიტლები"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404476205
მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ზელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ. 4/77) / თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N142.
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000334309700GEL

უფლებამოსილი პირი
ნინო შადური

კოლეჯი

კორპორაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე 2019 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი # 2

21 ნოემბერი, 2019 წელი

1. მხარეები თანხმდებიან, რომ კორპორაცია გამოყოფს პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის კანდიდატურას, კანონდმებლობოთ განსაზღვრული რაოდენობრივი და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესაბამისად და მიაწვდის კანდიდატის მონაცემებს კოლეჯს.
2. კოლეჯი, როგორც საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე კლინიკური სწავლება-სწავლის“ განმახორციელებელი, იღებს სრული ადმინისტრაციულს და საორგანიზაციო პასუხისმგებლობას, კორპორაციის ბაზაზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე კლინიკური სწავლება-სწავლის“ პროცესში ჩართული პირების, სტუდენტებისა და სასწავლო პროცესის მართვაზე. მათ შორის, კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის (გასაუბრება, ტესტირება), ძირითადი ფუნქციების გაწერის და მათთვის გაცნობა/კონტროლის, დაქირავებაზე გადაწყვეტილებისა და ხელშეკრულების გაფორმების, მათი პასუხისმგებლობებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრის, გაცნობა/ კონტროლის და სხვა მართვის საკითხების კუთხით.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საქმიანობისა და პასუხისმგებლობების მართვა-ადმინისტრირების მექანიზმში არ არის ჩართული კორპორაცია.
4. კერძოდ, კოლეჯის მიერ სასწავლო პროცესში ჩართული პირების შესაბამისობის დადგენა და მართვა მოიცავს (თუმცა არ შემოიფარგლება) შემდეგ საკითხებს:

4.1 სასწავლო პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები, პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობები:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება	საქიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	1. მენტორობის/სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6-თვიანი გამოცდილება 2. საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება რომელიმე ან რამდენიმე მიმართულებით; 7. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 8. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 9. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 10. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 11. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 12. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
უცხოური ენები (მინიმალური მოთხოვნა)	ინგლისური A1
კომპიუტერული უნარები	საოფისე პროგრამების კარგი ფლობა

2. სწავლების პროცესში ჩართული პირის ძირითადი ფუნქციები: კლინიკური მოდულ(ებ)ით, განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, განახორციელოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული პროფესიული სტუდენტის სწავლება და შეფასება.
3. აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად, სწავლების პროცესში ჩართული პირი:
   ა) პასუხისმგებელია:
   1. განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვა;
   2. შექმნას პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო გარემო;

კოლეჯი

კორპორაცია

3. უზრუნველყოს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს შექმნა;
4. შეიმუშაოს განსახორციელებელი მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტები სტუდენტების მიღწევათა შესაფასებლად;
5. არ დაუშვას პროფესიული სტუდენტები კლინიკური მოდულების გავლისას, პირადი დაცვის საშუალებების გარეშე.

ბ) ვალდებულია:
1. განახორციელოს კლინიკის პასუხისმგებელი პირის მიმართ ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხებზე;
2. განახორციელოს კოლეჯის პასუხისმგებელი პირის მიმართ ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხებზე;
3. განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლება სრული მოცულობით და დადგენილი პირობებით;
4. განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება დადგენილი წესის დაცვით;
5. სწავლებასთან დაკავშირებით წარუდგინოს/გადასცეს კოლეჯს შესაბამისი დოკუმენტაცია.

გ) უფლებამოსილია:
1. დასვას პროფესიული სტუდენტის მიმართ არადისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, პროფესიული სტუდენტის წახალისების საკითხი;
2. დასვას პროფესიული სტუდენტის მიმართ პროფესიული სტუდენტის წახალისების საკითხი;
3. დასვას ნებისმიერი პრობლემური ან/და სხვა საკითხი (რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას);
4. მიიღოს კოლეჯისაგან მეთოდური რეკომენდაციები, რომელიც ეხება სწავლება-სწავლის პროცესსა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

კოლეჯი
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი: 412672157
მისამართი: მ. დვალიშვილის 13
«თიბისი ბანკი» ქუთაისი.
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. N GE27TB7190036080100002
ს/კ 412672157

ელ.ფოსტა: info@kms.edu.ge

ხელმომწერი პირი: იოსებ კაჭახიძე

რექტორი

კორპორაცია
სს „ევექსის ჰოსპიტლები"

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404476205
მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდი დიღომი, გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ. 4/77) / თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N142.
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000334309700GEL

უფლებამოსილი პირი
ნინო შადური

კოლეჯი

კორპორაცია